საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3396
12/07/2022

3396-21-2-202207121908

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ზოიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი 2022 წლის 13 ივნისის N114-1142216438 (№2283; 13.06.2022) წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი №297-ში მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 20.42.01.051) მრავალფუნქციური ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შემდეგ შენიშვნებს:

- თქვენ მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციაში, „დავალება ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №297 (პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ №20.42.01.051) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გ(დ)გ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე“ დოკუმენტში, გეგმარებითი ერთეული განმარტებულია, როგორც გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით გათვალისწინებული ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N297 (პანსიონატი ქარიშხალა) არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. N 20.42.01.051) გ(დ)გ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები (გვ. 15). ამავე დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დავით აღმაშენებლის გამზირზე №642-დან (ს/კ №20.42.01.285) №700-მდე (ს/კ №20.42.01.066) გადასასვლელებს შორის განლაგებულ მიწის ნაკვეთებზე და მათი ფართი შეადგენს 3,0 ჰექტარს (გვ. 21). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს გეგმარებითი ერთეულის საკადასტრო კოდ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, დოკუმენტაციაში არსებულ სხვადასხვა რუკაზე გეგმარებითი ერთეული

საზღვრები განსხვავებულადაა წარმოჩენილი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გეგმარებითი ერთეულის საზღვრები დოკუმენტაციის როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ ნაწილში.

- თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წ. 29 ნოემბრის #11 და 2020 წ. 29 მაისის დადგენილებებით დამტკიცებული ქობულეთის განაშენიანების გეგმის, ფუნქციური ქვეზონების სარეკომენდაციო ზღვრული მაჩვენებლების სქემის შესაბამისად, გეგმარებითი ერთეული ექცევა შეუზღუდავი კ-2 კოეფიციენტისა და სანაპიროს ვიზუალური დომინანტი შენობების ზონაში, რაც გეგმარებითი ერთეულის კ-2 კოეფიციენტის გაზრდისას ზონის ცვლილების საშუალებას იძლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე. ამასთან გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი (ს/კ20.42.01.051) ვიზუალური შეფასებით არ ემთხვევა ,,ქალაქ ქობულეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 29 მაისს გაცემულ N05 დადგენილებაზე თანდართულ რუკაზე არსებულ სარეკომენდაციო ზღვრული მაჩვენებლების სქემაზე მოცემულ შეუზღუდავ („შეზღუდვის გარეშე“) ზონას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული საკითხის დაზუსტება.
- დასაზუსტებელია სტრატეგიულ დოკუმენტსა და სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი კოეფიციენტებით დაანგარიშებული ფართობები.
- წარმოდგენილი shape-ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან 400მ მანძილზე მდებარეობს ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომელიც თავის მხრივ ემთხვევა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს (ქობულეთი GE00000030) და რამსარის საიტს (ISPANI MIRE), თუმცა ანგარიშში არ ჩანს პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება აღნიშნულ ტერიტორიებზე, მათ შორის ფრინველებზე. ამასთან, დაგეგმილი მრავალსართულიანი შენობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ნაწილი განხილულ უნდა იქნას ფრინველთა სამიგრაციო ზოლისა და მასზე შესაძლო ზემოქმედების ჭრილში. გარდა აღნიშნულისა, განხილული უნდა იქნას პროექტის განხორციელებით (სამშენებლო სამუშაოები) დაცულ ტერიტორიებზე ჰიდროლოგიური რეჟიმის შესაძლო ცვლილების შედეგად საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედება. ზემოაღნიშნული ზემოქმედების (სახეების მიხედვით) ანალიზის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში შემოთავაზებულ იქნას ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები.
- დოკუმენტში მითითებულია, რომ „აუცილებელია მოიჭრას რამდენიმე ინდივიდი ხე-მცენარე (ძირითადად ასაკოვანი ინდივიდები, რომელთა გადარგვა შეუძლებელია)“, თუმცა გაურკვეველია, რომელი სახეობის და რა რაოდენობის ინდივიდის ჭრა/გადარგვა არის დაგეგმილი და რომელი ცხოველების,

განსაკუთრებით ფრინველებისა და ხელფრთიანების საბინადრო გარემოს მოშლას გამოიწვევს ამ ხეების მოჭრა/გადარგვა.

- კონცეფციის 1.4.1.4. ცხრილში (სახელმძღვანელო დოკუმენტების ნორმატიული დოკუმენტების ნაწილში გვ.10-11), „ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #425 დადგენილების (№28) შემდეგ, მიზანშეწონილი იქნება დაემატოს ამ საკითხთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სხვა დადგენილებების დასახელება, კერძოდ:
    1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის # 414 დადგენილებით დამტკიცებული „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
    2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის # 440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
    3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის # 445 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
    4. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აგვისტოს # 431 დადგენილებით დამტკიცებული „წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“.
- გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებებს უნდა დაემატოს შემდეგი ღონისძიებები:
    1. სამშენებლო მასალების ამტვერების მაქსიმალურად შემცირების მიზნით ამტვერებადი სამშენებლო მასალები შენახვა/განთავსება უნდა ხდებოდეს სათანადოდ შეფუთულ მდგომარეობაში ან/და დახურულ სივრცეში;
    2. ძირითად საავტომობილო მაგისტრალზე (დავით აღმაშენებლის გამზირი) ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას არ უნდა ხდებოდეს ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას უზრუნველყოფს აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო